წელიწადი პირველი.

თბილისი, შაბათი 24 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, შაბათი 24 ივნისი 1906 წ.

№ 4. ყოველ დღიური გაზეთი № 4.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაცია. „რეჩ.ს“ სიტყვით ახალი სამინისტრო სდგება. მღელვარება გვარდიაში. სათათბიროს დეპუტატს სედელნიკოვს პოლიციელებმა სცემს სამაგიეროთ ალადინი მინისტრებს ცემას პირდება

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ღირება:

**თფილისში:** წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“

ხვალას, 25 ივნისს, დილის 9 საათზე დანიშნულია წლის თავი ამხანაგ

**სამა წულუკიძის**

გარდაცვალებისა, რასაც ხონის ორგ. რ. ს.-დ მ. პ. აუწყებს ამხანაგებს.

ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ლამპარი“

ლამპარი წლიურათ ღირს თბილისში და თბილის გარეთაც 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ., ორი თვით 1 მ., 50 კ., ერთი თვით 80 კ., თბილისში თვიურათ მუშებისთვის ღირს 60 კ არამუშევისთვის ღირს 75 კ., ცალკე № ყოველგან 5 კ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ редакція „Лампари“ მიხაილოვის ქუჩა სახლი № 12.

### კადეტების სათათბირო და რუსეთის გლეხკაცობა

მეფის მთავრობას ნდობა დღეს დაკარგული აქვს რუსეთის გლეხობას. პულემიოტებმა, ზარბაზნებმა, მათრახმა და სახრჩობელამ დიდი სამსახური გაუწია ამ მხრით რუსეთის რევოლიუციას. მარა მთავრობის ნდობის დაკარგვა საკმაო არ არის ნამდვილ რევოლიუციონურ გზაზე დადგომისათვის. გარდა თავზე ხელ აღებულ მთავრობისა, რომელიც აშკარათ, უტიფრათ ყვლეფს, იმონავებს, ახრჩობს და ხვრეტს რუსის გლეხს, რევოლიუციას კიდევ ყავს ერთი ჯურის მტერი, რომელიც ხალხს მოყვრის სამოსელში ევლინება და „გულსა შინა თვისსა“ კი ზაკვასა და ღალატს ატარებს. ეს მტერია მუხანათი, მლიქვნელი, ორპირი, ხან მარჯვენით და ხან მარცხნით მომლიმარი ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც ჩვენ რევოლიუციას კონსტიტუციონალ-დემოკრატების სახით მოევლინა და რომელმაც ასე „ბრწინვალეთ“ გაიმარჯვა სათათბიროს არჩევნებში. ეს მოყვარე მტერი მთავრობაზე ბევრათ უფრო საშიშია ამ ჟამათ გლეხ-კაცებისთვის და ვინც მას დაენდობა, აშკარაა, რევოლიუციის ლიანს გვერდს აუხვევს. ლიბერალური ბურჟუაზია (კადეტები) სათათბიროს უმეტესობას შეადგენს და მათი ხმა გამქრელია რუსეთის პირველ „პარლამენტში“. ამისდაგვარათ ვინც დუმას ნდობის თვალით უყურებს, ის კადეტების მუხანათურ არსებას ვერ გასცნობია და მავნე ცრუ იმედებით ყოფილა გაჟღენთილი. ცრუ იმედების გაქრობა ხალხში და ლიბერალური ბურჟუაზიის ორპოფი არსების გამომჟღავნება—აი უახლოესი მიზანი ნამდვილი რევოლიუციონერებისა. სასიამოვნოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის გლეხკაცობამ გემო გაუფცქვნა კიდეც კადეტების მიერ დაპირებულ „ხალხის თავისუფლებას“, ზურგს აქცევს სათათბიროს უმრავლესობას და მთელ თავის ყურადღებას სათათბიროს „მშრომელ ჯგუფს“ აპყრობს. სახელმწიფო სათათბირო რუსეთის გლეხისათვის ახლა თანდათან ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ იყოფა: ერთ ბანაკს ხალხის მოყვარე-მტრები კადეტები შეადგენენ, ხოლო მეორეს ხალხის ნამდვილი მეგობრები „ტრუდოვიკები“. ამას არ უარყოფს თვით კადეტთა გაზეთი „პუტიც“. ამას წინათ პეტერბურგში შეიკრიბნენ 32 გუბერნიის გლეხთა წარმომადგენელნი და სახელმწიფო სათათბიროს წევრების თანადასწრებით თათბირი მოახდინეს. აი როგორი სიფხიზლე გამოიჩინეს გლეხებმა ამ თათბირზე:

„რახან ამდენი გზა გამოიარეს გლეხთა შიკრიკებმა (ХОДОКИ), უნდოდათ ბარემ ყველაფერი დაწვრილებით გაეგოთ, რომ თავიანთ შინ ხელცარიელი არ დაბრუნებულიყვნენ და სხაპა-სხუპით აძლევდენ კითხვებს თავმჯდომარეს:

— ჩვენ, ბატონო, ეს და ეს დეპუტატი ავირჩიეთ სათათბიროში. ახლა გავიგეთ გაზეთებიდან, თითქო ჩვენ დეპუტატს გზა აბნეოდეს, კადეტებისკენ გადაქანებულიყოს. აბა ერთი აგვიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, მართლა აებნა ჩვენ დეპუტატს გზა თუ არა?

თავმჯდომარემ როგორც იყო მოიგონა და უპასუხა:

— მართალია, თქვენი დეპუტატი მგონი კადეტებში უნდა იყოს.

გლეხმა ამოიოხრა: ეხ, დასწყევლოს ღმერთმა ჩვენ კი კარგი კაცი გვეგონა და ამიტომ ავირჩიეთ. ჩვენ კი „ტრუდოვიკებში“ ჩაწერა ვუბრძანეთ.

წამოდგა მეორე გლეხი: — ჩვენი დეპუტატისაც არა ისმის-რა: არც კარგი, არც ავი. ვაი თუ ისიც ბატონებს აყვა.

ამნაირათ წამოდგენ თითო თითოულათ ყველანი და ერთი და იგივე კითხვა მისცეს თავმჯდომარეს...

... მანიფესტი, მანიფესტი..- მოუთმენლათ გაიძახიან გლეხები—რატომ მანიფესტს არ გამოსცემთ ხალხის მიმართ, როგორც მუშათა დეპუტატები. ჩვენ დაგვღალა ლოდინმა... დიდი ხანია გიცდით, გითვალთვალებთ, ... ახლა სათათბიროს აღარაფერი გვწამს, ერთათ ერთი მშრომელთა ჯგუფის იმედი გვაქვს, ამ ჯგუფს კი გასაქანს არ აძლევს სათათბირო. მეტი მოცდა აღარ შეგვიძლია. დასწერეთ მანიფესტი ჩვენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, ისე ავდგებით და სხვ. („Путь“ № 80)

გლეხ-კაცობამ იცნო თავისი მტერი. მან უარყო სახელმწიფო სათათბირო. კადეტებმა საკმაოთ გამოაშკარავეს თავიანთი ვიგნაობა და მაჰანკლობით და ტკბილი ლაყბობით სათათბიროში, ისეთივე სამსახური გაუწიეს რევოლიუციას, როგორც მთავრობამ ზარბაზნებით და პულემიოტებით. ნიადაგ დაკარგული კადეტები კი როგორც კრილოვის კუდა მელა ყავს—ისე უციცქირებენ მთავრობას პირში და პორტფელების მოლოდინში პირს ნდომის ნერწყვი ადგებათ. —ჩვენი სამინისტრო — გაიძახიან კადეტები—ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი, ის და მხოლოთ ის დააცხრობს რევოლიუციასო.

საბრალო კადეტები! ნუ თუ ამის შემდეგაც ვერ გაიგეს, რომ მათსა და ხალხს შორის უკვე უფსკრული გაითხარა და ტკბილათ მოუბარ როდიჩევებს და ნაბოკოვებს რევოლიუციონური გლეხკაცობა უკვე თავის მოსისხლე მტერთა ბანაკში სთვლის. ილიუზიები დღითი დღე ქრება, ხალხს თვალი ეხილება, სათათბირო თან და თან კარგავს ნიადაგს და კადეტების სამინისტრო მხოლოთ დააჩქარებს და დააგვირგვინებს ხალხის თვითგამორკვევის და საბოლოოთ გარევოლიუციონერების საქმეს.

— ძირს თქვენი სამინისტრო! დასძახებს ხალხი და საყვედურის და უნდობლობის თვალით დაუწყებს ცქერას იმათაც, ვინც მეფისა და ხალხის მორიგებაში ერევა და კადეტების სამინისტროს გაყვანას მხარს უჭერს.

ჟ. ჟ.

### სადღეისო კითხვები.

**რუსეთის სოც.-დემოკრ. პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დეკლარაცია.**

როგორც ვიცით, სახელმწიფო დუმაში შედგა ახალი საპარლამენტო ფრაქცია რუსეთის სოც.-დემოკრ. პარტიისა. ამ ფრაქციის სახელით 16 ივნისს დეპ. ჯაფარიძემ წაიკითხა ვრცელი დეკლარაცია, რომელშიაც განმარტებულია სოც.-დემოკრ. პარტიის პოზიცია საზოგადოთ და კერძოთ დღევანდელ მოძრაობაში. დეკლარაცია დაწვრილებით ეხება დღევანდელ მომენტს და იმ როლს, რომელსაც დღეს დუმა თამაშობს ან შეუძლია ითამაშოს ახლო მომავალში. თავის დეკლარაციაში ამხანაგები ამბობენ, თუ რას თხოულობს დღეს მთელი რუსეთის ხალხი საერთოთ და კერძოთ პროლეტარიატი და სოფლის გაჭირვებული გლეხობა. ისინი აცხადებენ, რომ ყველა ამის განხორციელება შეუძლია მხოლოთ დამფუძნებელ კრებას, რომ რუსეთის განახლება მშვიდობიან რეფორმების საშუალებით ფუჭი ოცნებაა, რომ მართალია ჩვენ დუმაში დღეს უმცირესობას შევადგენთ, მაგრამ სამაგიეროთ დუმის გარეთ ჩვენ მხარს გვიჭერენ ყველა მუშები, გლეხობა და საერთოთ საზოგადოების მთელი გაყვლეფილი ნაწილიო. ასეთია საერთო აზრი ხსენებული დეკლარაციისა, და ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით მხოლოთ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დუმის შესახებ გარკვეულათ და გადაჭრით დეკლარაცია არაფერს ამბობს. დეკლარაცია ერთი მხრით პირველ რიგზე აყენებს დამფუძნებელი კრების მოწვევას და მეორე მხრით იმასაც ამბობს, რომ „ჩვენ მოვითხოვთ, რათა იმან („დუმამ“) ისარგებლოს თავის მდგომარეობით, როგორც კანონმდებლობითი დაწესებულებამ და დაეხმაროს ხალხს მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში მიწის და თავისუფლების მოსაპოებლათ და სხვ აქედან თითქო გამოდის, რომ დამფუძნებელ კრების გარეშეც დღევანდელ დუმას შეეძლოს იმის შესრულება, რასაც დღეს ხალხი თხოულობს. არ შეგვიძლია აგრეთვე არ აღვიშნოთ, რომ ზოგი მოთხოვნები გარკვევით და აშკარათ არ არის ნაჩვენები დეკლარაციაში, მაგალითებ: სხვა-და-სხვა თავისუფლებასთან გაფიცვის თავისუფლება არ არის მოხსენებული, დეკლარაცია არაფერს ამბობს ქალების უფლებაზე; მიწების კონფისკაციაში სამონასტრო, საეკლესიო და მემამულეების მიწების გვერდით დასახელებული არ არის საუფლისწულო მიწები, მაშინ როცა ეს მიწები განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ. ყოველივე ეს ნაკლი უეჭველათ აიხსნება შემთხვევით და იმედია შემდეგში სოც.-დემოკრატიული ფრაქცია უფრო გარკვევით და უფრო სავსებით გამოხატავს პროლეტარიატის პოზიციას, სადაც ეს საჭირო იქნება.

## ახალი ამბები

✦ როგორც რუსეთის სააგენტო იტყობინება, გაზეთ „რეჩს“ გაუგია, რომ **ერმოლოვისთვის კაბინეტის შედგენა** მიუნდვიათ. „ნაშა ჟიზნს“ ახალი მინისტრების გვარებიც გამოუქვეყნებია. მისი სი-

ტყვით თავადი ურუსოვი შინაგან საქმეთა მინისტრათ იქნება, გერცენშტეინი-ფინანსების, ტიმირიაზევი ვაჭრობის და მრეწველობის, სტახოვიჩი-მიწათმოქმედების, კუზმინ კარავაევი-იუსტიციის, გრაფი გეიდენი-სახალხო განათლების, ნიკოლაევის რკინის გზის უფროსი შუხტინი-გზათა, ხოლო ნაბოკოვი გარეშე საქმეთა მინისტრი.

◆ დეპოს და სახელოსნოების მუშებს ჩვეულებრივ ზაფხულობით სეზონის ბილეთები ეძლევა. გუშინ წინ ადმინისტრაციას გამოუცხადებია, რომ კვირა-უქმეებზე ამ ბილეთებით სარგებლობა არ შეიძლებაო. ამ განკარგულებით ადმინისტრაცია მუშებს სრულებით უსპობს შეძლებას ბილეთებით ისარგებლოს, იმიტომ რომ საქმის დღეს მათ წასვლა-წამოსვლა არ შეუძლიათ.

◆ ავჭალის ცხენის კონკის მოსამსახურეებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნიათ პეტერბურგში:

„ტავრიდის სასახლე. სოციალ დემოკრატიული ფრაქცია. **დეპუტატ ნ-ე ჟორდანიას.** ავჭალის ქუჩის კონკის ყველა მოსამსახურეები მოვითხოვთ მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცის დაუყონებლივ განთავისუფლებას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას, სამხედრო დროის წესების მოხსნას და დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორი და სხვ კენჭის ყრის საფუძველზე.“ ხელს აწერენ ყველა მოსამსახურეები.

◆ დეპეშა გაუგზავნიათ სათათბიროში ამხ. ჟორდანიასთვის აგრეთვე სარაჯევის ქარხნის მუშებს; აი დეპეშის შინაარსი: „ჩვენ, სარაჯევის ქარხნის მუშები პროტესტს ვუცხადებთ მთავრობას მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცის სამხედრო სამართალში გასამართლებისათვის, მოვითხოვთ მათ განთავისუფლებას, მიიღეთ ენერგიული ზომები.

მოვითხოვთ სრული ამინისტია, ხალხის ჯალათების სამართალში მიცემა, ოთხ მარცვლიან ფორმულის საფუძველზე დამფუძნებელ კრების მოწვევა. იბრძოლეთ მედგრათ ამ მოთხოვნილებისათვის. ჩვენც თქვენთანა ვართ.

180 მუშის რწმუნებული იოსებ კრაცაშვილი.

## პრესა

გაზ. „კავკაზსკაია რეჩ“-ს უკვირს მთავრობის საქციელი:

„ძნელი გასაგებია, რა მიზნით შეიტანა სამინისტრომ აგრარული პროექტი ხალხის წარმომადგენლობის (სათათბიროს) განსახილავათო.“

ჩვენ კი გაზეთის გაკვირვება გვაკვირვებს: თითქოს მართლა ძნელი გასაგები იყოს მთავრობის საქციელი! გულუბრყვილო გაზეთი! მას ვერ გაუგია, რომ მთავრობასა და კადეტებს შორის ვაჭრობაა გამართული! მთავრობამ ხმები გაუშვა კადეტების სამინისტროზე; კადეტები „გულის“ ფანცქალით უცდიან პორთფელებს; მთავრობა საგლეხო კითხვას, უდიდეს კითხვათ უყენებს კადეტებს და ეუბნება: ეს კითხვა მოვათავოთ შინაურულათ და — მიირთვით პორთფელებიო; ერთი სიტყვით, მთავრობა „კრაინი ცენას“ ნიშნავს, ვაჭრობა ეს-ეს არის ბოლოვდება და გულუბრყვილო გაზეთი კი გვეკითხება: ნეტა რა საჭირო იყო ახლა საგლეხო კითხვის წამოყენებაო! თითქოს ასე ძნელი იყოს ამის გაგება!..

* * *

„ლამპარი“ სწერს, რომ ლაქიურმა ტაქტიკამ მეტათ საზიზღრათ იჩინა თავი ამ ბოლო დროს კადეტების მოქმედებაშიო“.

— სრული ჭეშმარიტებაა, ამხანაგებო!

„კადეტების ლიდერმა როდიჩევმა ლაქიობაში ჰერკულესის ბოძებამდე მიაღწია“—განაგრძობს „ლამპარი“,—„სწორეთ გულის ასამღვრევია ის მლიქვნელობა და პირფერობა, რომელიც გამოიჩინა ამ ვაჟბატონმა უკანასკნელ სიტყვაში“

— სრული სიმართლეა, ამხანაგებო!

„ხალხი ირყევა, ხალხი ნელნელა ეჩვევა სიმართლის პირში ცქერას, ხალხი ცნობიერდება,—და აი, ამ დროს გამობძანებულან როდიჩევი და კამპანია და ცდილობენ (მონარქიული ცრუმორწმუნეობა კიდევ უფრო ღრმათ ჩაუთესონ ხალხს გულში... ხალხს ბნელეთიდან გამოსავალ გზას ულობავენ და ცდილობენ დაახშონ ყოველი ბუჭრუტანა, რომლიდანაც ხალხს სინათლე მისდის“!

მართალია, მართალი, ამხანაგებო! მაგრამ... ასეთი კაცებისაგან შემდგარი სათათბირო მაინც „რევოლიუციონერდება“? თუ ამ ვაჟბატონებმა“ სამინისტრო ჩაიგდეს ხელში, მაინც „გარევოლიუციონერდებიან“? აი რაშია კითხვა.

კადეტები თითონ იძლევიან პასუხს ამ კითხვაზე. „პუტი“ სწერს, რომ:

* * *

„მხოლოთ კონსტიტუციონალ-დემოკრატებს შეუძლიანთ იხსნან მონარხიაო.

„გლეხი მარცხნივ იწევს... მოძრაობა საშინელ სახეს იღებს... მონარხია განსაცდელშია“... მაგრამ... „ჯერ კიდევ არ გასულა დათმობის დრო“... საჭიროა მხოლოთ კონსტ. დემოკრატებისგან შემდგარი „სამინისტრო მოიწვიოს მთავრობამ“ და საქმე კარგა გათავდებაო. „მხოლოთ კონსტიტუციონალ-დემოკრატების სამინისტროს შეუძლიან ისეთი კანონიერების ატმოსფერა გაავრცელოს მონარქიის პრინციპის გარშემო, როგორიც ინგლისში არტყია მეფეს! მხოლოთ ამას შეუძლიან, **თუ ვერ გააჩერებს, წინ აღუდგეს** მაინც უკიდურეს მემარცხენეთა პოლიტიკურ მიდრეკილებას“ და სხვა და სხვა.

აი პირდაპირობა ასეთი უნდა! ჩვენ რევოლიუციის წინააღმდეგ უფრო წავალთ, ვიდრე რევოლიუციასთან ერთათო! გულზე რო გასქდეთ, არ გავრევოლიუციონერდებითო! ძალიან კარგი ბატონებო, ძალიან კარგი! გვეცოდინება!

## რუსეთი

**ჯარი ღელავს.** პრეობრაჟენსკი პოლკის პირველმა ბატალიონმა დიდი რისხვა დაიმსახურა „ცუდი ყოფაქცევისათვის“. ეს ბატალიონი დასაჯეს და პეტერბურგიდან სოფ. მედვედში გაგზავნეს. გაგზავნის წინ დღით დასჯილ სალდათებს იარაღი აჰყარეს და სასახლის წინ გაამწკრივეს. ჯართან ხელმწიფე გამოვიდა პრეობრაჟენსკი პოლკის მუნდირში გამოწყობილი და მოკლე სიტყვით მიმართა დასჯილ ჯარის კაცებს. ხელმწიფემ საყვედური გამოუცხადა მათ მავნე მიმართულების აყოლისათვის და უთხრა: ძე გავიხდი თქვენ მუნდირს და აღარ ჩავიცვამ სანამ თქვენს დანაშაულს არ გამოისყიდითო. ამიერიდან ბატალიონს წაერთმევა გვარდიის უფლებანი და ქვეითი ჯარის ბატალიონათ ჩაითვლება.

— 14 ივნისს ლეიბ-გვარდიის საპიოროთა მე 5 როტის კაპიტანმა შეკრიბა გვარდიის სალდათები და პრეობრაჟენსკი პოლკის დასჯილ ბატალიონის მოთხოვნები წაუკითხა. როცა კითხვა გაათავა, მიუბრუნდა სალდათებს და დაუყვირა: „აბა, რომელი თქვენგანი გაბედავს და იტყვის, რომ, რაც აქ სწერია მართალიაო“. უცებ გამოვიდა ერთი უნტეროფიცერი, გვარათ შივკოპლიასი და დინჯათ, გულდამშვიდებულათ გამოუცხადა კაპიტანს: „დიახ! სულ მართალია, რაც აქ სწერია, ეს ახლა ყველა სალდათებმა იციან რუსეთშიო“. გაბრაზებულმა აფიცერმა უშვერი ლანძღვა-გინება დაუწყო სალდათს და მაშინვე უფროსებს დააბეზღა, ეს და ეს უნტერაფიცერი უნდა დავატუსაღოთო. სალდათებმა არ დაანებეს მთავრობას ამხანაგის დატუსაღება. საღამოს, ლოცვის შემდეგ, აშკარა მიტინგი გამართეს და სხვა და სხვა საკითხების განხილვას შეუდგნენ. გადაწყვიტეს, არ დაატუსაღებიონ ამხანაგები და ხშირათ. გამართონ ხოლმე ასეთი მიტინგები. ერთმა სალდათმა წინადადებით მიმართა ამხანაგებს, სალამი გაუგზავნოთ დასჯილ პრეობრაჟენელებსო. მიტინგმა ისეთი „ურა“ დასძახა თან-

## ფელეტონი

### ანარხიზმი თუ სოციალიზმი?*)

I

**დიალექტიური მატერიალიზმი**

მაშ ასე. ჩვენ ვიცნობთ ახლა დიალექტიურ მეთოდს: ჩვენ ვიცით, რომ ამ მეთოდის აზრით ქვეყანა მუდმივს მოძრაობასა და ნგრევა-შენებაშია, რომ მაშასადამე, ყოველივე მოვლენა, როგორც ბუნებაში, ისე ცხოვრებაში, მის მოძრაობასა და ნგრევა-შენებაში უნდა განვიხილოთ, და არა როგორც ერთ წერტილზე შეჩერებული; ვიცით აგრეთვე ის, რომ თითონ ამ მოძრაობას ორგვარი ფორმაჰქონია: ევოლიუციონური და რევოლიუციონური...

როგორ უყურებენ დიალექტიურ მეთოდს ჩვენებური ანარხისტები?

როგორც ვიცით, დიალექტიური მეთოდის მამამთავარი ჰეგელი იყო,—მარქსმა მხოლოდ გააუმჯობესა და გასწმინდა იგი. ანარხისტებმა იციან ეს გარემოება, იციან აგრეთვე ის, რომ ჰეგელი კონსერვატორი იყო, და აი, სარგებლობენ „შემთხვევით“: ისინი თავგამოდებით ლანძღავენ და მიწასთან ასწორებენ ჰეგელს, როგორც „რეაქციონერს“ და „რესტავრაციის“ მომხრეს, ისინი გატაცებით ამტკიცებენ, რომ „ჰეგელი რესტავრაციის ფილოსოფოსია... რომ აბსოლიუტურ ფორმაში ის ქებათა ქებას ასხამს ბიუროკრატიულ კონსტიტუციონალიზმს, რომ მისი ისტორიის ფილოსოფიის ზოგადი იდეა დაქვემდებარებულია და ემსახურება რესტავრაციის ეპოქის ფილოსოფიურ მიმართულებას“ და სხვა და სხვა ამისთანები (იხ. „ნობათი“ № 6. ვ. ჩერქეზიშვილის წერილი) მართალია, აქ მათ არავინ ეკამათება, პირიქით, ყველა დაეთანხმება, რომ ჰეგელი რევოლიუციონერი არა ყოფილა და მეფის მომხრე იყო, მაგრამ ანარხისტები მაინც „ამტკიცებენ“ და საჭიროთ სცნობენ ყოველ დღე „ამტკიცონ“, რომ ჰეგელი „რესტავრაციის“ მომხრეა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ყველა ამითი სახელი გაუტეხონ ჰეგელს და მით მკითხველს აგრძნობინონ, რომ „რეაქციონერ“ ჰეგელს მეთოდიც „საზიზღარი“ და არა მეცნიერული ექნებოდა. თუ ეს მართლა ასეა, თუ ბ. ანარხისტები ამ გზით ცდილობენ დიალექტიური მეთოდის გაბათილებას, უნდა გითხრათ, რომ ამ გზით ისინი ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ, გარდა თავიანთი უხეირობისა: პასკალი და ლეიბნიცი რევოლიუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათგან აღმოჩენილი მატემატიკური მეთოდი მეცნიერულ მეთოდათაა დღეს აღიარებული; მაიერი და ჰელმგოლცი რევოლიუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათი ფიზიკური აღმოჩენანი საფუძვლათ დაედოთ მეცნიერებას. არც ლამარკი და დარვინი იყვნენ რევოლიუციონერები, მაგრამ მათმა ევოლიუციონურმა მეთოდმა ფეხზე დააყენა ბიოლოგიის მეცნიერება... დიახ, ამ გზით ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ ბ. ანარქისტები, გარდა თავიანთი უხეირობისა.

დავყვეთ ქვევით. ანარქისტების აზრით, „დიალექტიკა მეტაფიზიკაა“ (იხ. „ნობ.“ № 9. შ. გ.) და რადგანაც მათ „უნდათ მეცნიერების განთავისუფლება მეტაფიზიკიდან, ფილოსოფიის თეოლოგიიდან“ (იხ. „ნობ.“ № 3. შ. გ.) ამიტომ უარჰყოფენ დიალექტიურ მეთოდს.

„ჩემი შენ გითხარ—გული მოგიკალო“, რო იტყვიან ხოლმე, სწორეთ ისეა ანარქისტების საქმე: დიალექტიკა მეტაფიზიკასთან ბრძოლაში დამწიფდა, მან ამ ბრძოლაში ისახელა თავი, და ანარქისტების აზრით კი გამოდის, რომ „დიალექტიკა მეტაფიზიკა“ ყოფილა! ანარქისტების „მამათავარს“, პრუდონს, სწამდა, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთხელ და სამუდამოთ შემუშავებული „უცვლელი სამართლიანობა“ (იხ. ანარქიზმი“ ელცბახერისა. 64 – 68 გვ. საზღვარ-გარეთული გამოცემა), რის გამოც პრუდონს მეტაფიზიკს ეძახდნენ; მარქსი ებრძოდა პრუდონს დიალექტიური მეთოდის შემწეობით და ამტკიცებდა, რომ რადგანაც ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება, ამიტომ „სამართლიანობაც“ უნდა იცვლებოდეს და მაშასადამე „უცვლელი სამართლიანობა“ მეტაფიზიკური ფანტაზიააო (იხ. „ფილოსოფიის სიღატაკე“ მარქსისა); მეტაფიზიკი პრუდონის ქართველი მოწაფეები-კი გადმომდგარან და „გვიმტკიცებენ“, რომ „დიალექტიკა მეტაფიზიკააო“! მეტაფიზიკას სწამს „გამოუცნობელი“ და „საგანი თავის არსებაში“, ის ბოლოს და ბოლოს უშინაარსო თეოლოგიაზე გადადისო ენგელსი ებრძოდა პირველსაც და მეორესაც დიალექტიური მეთოდის შემწეობით, წინააღმდეგ პრუდონისა და სპენსერისა (იხ. ენგელსის „ლუდვ. ფეიერბახი“ და „ანტიდიურინგი“), ის ამტკიცებდა მათს სასაცილო უშინაარსობას; ჩვენი ანარქისტები-კი „გვიმტკიცებენ“, რომ პრუდონი და სპენსერი მეცნიერები არიან და მარქსი და ენგელსი კი—მეტაფიზიკებიო. ორში ერთი: ან თავიანთ თავს ატყუებენ ბ. ანარხისტები და ან არ ესმით მეტაფიზიკის მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში, დიალექტიურ მეტოდს აქ არავითარი ბრალი არა აქვს.

კიდევ რას აბრალებენ ბ. ანარხისტები დიალექტიურ მეტოდს? ისინი ამბობენ, რომ დიალექტიური მეტოდი „იკლიკანტურობაა“, „სოფიზმების მეტოდია“, „ლოღიკური და სააზროვნო სალტომორტალეა“ (იხ. „ნობ.“ № 8 შ. გ.), „რომლის საშუალებით წაღმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით არის დამტკიცებული“ (იხ. „ნობ.“ № 4. ვ. ჩერქეზიშვილი)

პირველ შეხედვაზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანარხისტების ბრალდება სამართლიანი უნდა იყვეს. ყური დაუგდეთ აბა, რას ამბობს ენგელსი მეტაფიზიკურ მეთოდის მიმდევრებზე: მათთვის მხოლოთ „ჰო-ჰო და არა-არა არსებობს, რაც ამის გარეშეა, ის ეშმაკისგანაა. მათთვის ესა თუ ის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; მათი აზრით არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე საგანი იყვეს ის, რაც არის, და იმავე დროს არც იყვეს... მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საგანი შეიძლება ერთ და იმავე დროს კარგიც იყვეს და ავიც“... (იხ. „ანტიდიურინგის შესავალი“). როგორ! ცხარობს ანარქისტი, განა შეიძლება ერთი და იგივე საგანი ერთ და იმავე დროს კარგიც იქვეს და ავიც?! ეს ხომ „სოფიზმია“ ეს ხომ „სიტყვების თამაშია,“ ეს ხომ იმასა

1) იხ. № 2.

ხმობის ნიშნათ, რომ აფიცრებს შიშისაგან გული კინაღამ წაუვიდათ.

— სემიონოვის პოლკში (ეს ის პოლკია, რომელმაც საზიზღარი სახელი მოიხვეჭა თავისი მხეცობით მოსკოვის აჯანყების დროს) დიდი ხანია მღელვარება დაიწყო. ახლა თურმე ამ პოლკიდან დაუთხოვნიათ და თავთავიანთ შინ გაუსტუმრებიათ მემუსიკეების და მომღერლების კამანდები. რადგან ამათ თვლიდენ ამბოხების მიზეზათ.

**გაიფიცენ:** ვარვაროპოლში ქვანახშირის მაღაროების მუშები.

— ენაკიევში პეტროვსკი ზავოდები.

— მარიუპოლში ნავთსადგურის მუშები.

— სარატოვში რკინის გზის რემონტის მუშები.

— მოსკოვში კილის ქარხანა.

— ეკატერინბურგში სამი ზავოდები.

— პეტერბურგში ნარვის ზასტავას იქით მომუშავე მეჩექმეები.

— ნოვოროსიისკში ნავთსადგურის მუშები.

— ლიბავაში ლუდის ზავოდი.

— დონის როსტოვში მატროსები.

— ბრესლიტოვსკში მეყასბეები.

— რიგაში და გროდნოში რამდენიმე ქარხანა-ზავოდის მუშები.

**გლეხების მღელვარება.** კიევის არემარეში გლეხებმა მემამულეთა ეკონომიები გადაწვეს. მთავრობამ ყაზახები გამოიწვია.

— პეტროვსკში გლეხებსა და პოლიციელთა შორის შეტაკება მოხდა. ერთი გლეხი მოკლეს, მეორე დაჭრილია. ისპრავნიკი ქვებით დააშავეს.

— სოფ. გარნალში გლეხებსა და ბერებს შორის შეტაკება მოხდა. დაშავებულები ორივე მხარეზე არიან.

— ტიხვინის მაზრის ორ საზოგადოებაში ძლიერ აგრარული მოძრაობა დაიწყო. გლეხები მემამულეთა ტყეებს ჩეხენ და სათიბეებს ითვისებენ.

— კრომსკის მაზრაში გლეხებმა მამაკაცთა სამუშაო ქირა 1 მანეთამდე ასწიეს, მხოლოდ დედაკაცთა ათ შაურამდე.

— ოდოევის მაზრაში დიდი მხელვარებაა გლეხებს შორის.

— ბელევის მაზრის გლეხებიც ღელავენ.

— კოსტრომის გუბერნიაში გლეხები ყანაში მუშაობის დროს მიტინგებს მართავენ და სადღეისო პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობენ.

**უსაქმოთ დარჩენილთა რიცხვი** რუსეთში ამჟამათ 300 ათას კაცს აღემატება.

**მუშათა დეპუტატების გასამართლება და მუშები.** მკითხველი დეპეშებიდან გაიგებდა, რომ 20 ივნისს მუშათა დეპუტატების საბჭოს გასამართლება დაიწყო. მთავრობა სცდილობს საბჭოს წევრები, როგორც მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულები, ისე გაასამართლონ და განზრახ არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ბრალდებულები მუშების მიერ იყვნენ არჩეულნი და მათ ნებას და სურვილს გამოხატავდენ. მთავრობის ასეთ ოინს მუშები ღირსეულათ შეხვდნენ და თითქმის ყველგან რეზოლიუციები გამოაქვეთ, დეპუტატები ჩვენი ნების გამომხატველები იყვნენ, მათი გასამართლება, მთელი პეტერბურგის პროლეტარიატის გასამართლებაა, ეს გასამართლება მთავრობისა და პროლეტარიატის პირისპირ შეყრა იქმნება, კიდევ ერთხელ დამარცხდება ზნეობრივათ მთავრობა და სხვ.

# პარტიის ცხოვრება

**ვერის პოდრაიონი.** ამ დღეებში მოხდა რამოდენიმე კრება, სადაც სხვადასხვა პროფესიის პარტის წევრებმა განიხილა რეორგანიზაციის წესდება და ერთხმათ, 75 კაცმა, მიიღეს იგი. მხოლოთ მე—20 პუნქტს დაუმატეს: სათათბიროთ მოწვეულ პირს არ მიენდოს არავითარი ფუნქცია.

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

**ბირიუჩი.** 21 ივნისი. გლეხებმა აიკლეს გრაფ შერემეტიევის მამული, დასწვეს ბევრი შენობები, დაამტვრიეს კანტორები, დაიტაცეს ფულები, სტრაჟნიკებს სცემეს და სხ. მოვიდა ჯარი კაზაკები, გუბერნატორი და პროკურორი. მშვიდობიანობა აღდგენილია.

**დანკოვი.** მემამულეებმა დაადგინეს, აგრარული მოძრაობის ჩასაქრობათ ჯარები გამოიწვიონ, გლეხებთან არავითარ შეთანხმებასა და მორიგებაზე ლაპარაკი არ გამართონ და სამუშაო ხელ-ფასი არ მოუმატონ.

**ბოგოროდიცკი.** სოფ. სუდოხოლის გლეხებმა ხამიაკოვის მამულიდან მუშები განდევნეს; პოლიციამ დაატუსაღა 5 გლეხი.

**სარატოვი.** გლეხი კოზლოვი, რომელსაც სტოლიპინის სიკვდილის განზრახვა ბრალდებოდა, გაამართლეს. მინსკში გაანთავისუფლეს 11, სუდჟაში—10 და ნიჟნი-ნოვგოროდში 7 პოლიტიკური ტუსაღი.

**ვილნა.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ტელეგრამით გამოიწვია პეტერბურგში ბოქაული შერემეტიევი, რომელსაც ბელოსტოკში ებრაელების აკლების მოწყობა ბრალდება.

**მოსკოვი.** 21 ივნისი. გაიფიცენ: ელექტრონის საზოგადოების, დობროვის და ნაბგოლცის ფაბრიკის, პატრონების ფაბრიკის და სემიონოვის რაიონის რამდენიმე ფაბრიკის მუშები; ცინდელის მანუფაკტურის 6000 მუშა და ეგორიევის მანუფაქტურის 7000 მუშა.—მღვდელ გრიგორი პეტროვს მოსკოვში ცხოვრება აუკრძალეს.

**ბაქო.** ციხეში ტუსაღებს შორის შეტაკება მოხდა. დაიჭრა 26 კაცი. ტუსაღები ორ ბანაკად გაიყვენ: ერთი მხრით რუსები და სომხები, მეორე მხრით თათრები. ქალაქში დიდი მღელვარებაა. გაფიცვები არ შეწყდარა. აუარებელ მოწოდებაში მუშებს გაფიცვაზე იწვევენ. დიდი მღელვარებაა თათარ მუშებში. წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილებები.

**იუზოვკა.** მაღაროების ერთ ნაწილში სრული გაფიცვაა. მუშები დანარჩენ მაღაროების მუშებს გაფიცვისკენ იწვევენ. მოთხოვნილებები ეკონომიური ხასიათისაა. გამოიწვიეს კაზაკები.

**ვარშავა.** მოჰკლეს უბნის ზედამხედველი; ბოროტ-განმზრახველი მიიმალა. სალდათებმა სროლა ასტეხეს და სასიკვდილოთ დასჭრეს ახალგაზდა კაცი. —ქალაქს პოლიციელები სულად არ იცავენ. ღამე პოლიციელს და სალდათებს თავს დაეცენ შეიარაღებული კაცები. — პოდპოლკოვნიკი მურადოვი, რომელსაც ამ დღეებში ყუმბარა ესროლეს, მოკვდა.

**ვარშავა.** 21 ივნისს გაიტაცეს 12000 მანეთი.

**ბელოსტოკი.** მცხოვრებლები სთხოვენ ქალაქის თავს მოიწვიოს საბჭოს კრება და გამოიკვლიოს რამდენათ მართალია გენერალ-ლეიტენანტი ბადერის ოფიციალური მოხსენება.

**პეტერბურგი.** ნოქრების მოხოვნები დააკმაყოფილეს. — „ნაშა ჟიზნის“, „ნევსკაია გაზეტას“, „დუმა“-ს, და „რაბოჩეე სლოვოს“ რედაქტორები გაამართლეს.

**პეტერბურგი.** 20. ივნისი. მუშათა დეპუტატებ ს საბჭოს საქმის გარჩევი დროს პროკურორმა ითხოვა „კურიერის“ რე-

---

ნიშნავს, რომ „წალმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით გინდათ დაამტკიცოთ“!... მაგრამ ჩაუკვირდეთ ამა საქმეს. ჩვენ დღეს დემოკრატიულ რესპუბლიკას ვითხოვთ, დემოკრატიული რესპუბლიკა კი ბურჟუაზიულ საკუთრებას ამაგრებს; შეიძლება ვთქვათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ყველგან და ყოველთვის კარგია? არ შეიძლება! რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია მხოლოთ „დღეს“, როცა ფეოდალურ საკუთრებას ვანგრევთ, მაგრამ „ხვალ“ როცა ბურჟუაზიული საკუთრების დანგრევას შევუდგებით და სოციალისტურის დამყარებას, დემოკრატიული რესპუბლიკა კარგი აღარ იქმნება, ის, პირიქით, ბორკილი იქმნება, რომელსაც დავამტვრევთ და შორს გადავტყორცნით; და რადგანაც ცხოვრება მუდმივ მოძრაობაშია, რადგანაც წარსულსა და აწმყოს ერთმანეთს ვერ გავაშორებთ, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ფეოდალებსაც ვებრძვით და ბურჟუაზიასაც, ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ რამდენათაც დემოკრატიული რესპუბლიკა ფეოდალურ საკუთრებას სპობს, იმდენათ ის კარგია და ვიცავთ კიდეც მას, ხოლო რამდენათაც ის ბურჟუაზიულ საკუთრებას ამტკიცებს, ამდენათ ის არ ვარგა და ამიტომ კრიტიკას უშვრებით მას. გამოდის რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ერთსა და იმავე დროს „კარგიც ყოფილა და ავიც“, „ჰო“-ც ყოფილა და „არა“-ც. სწორეთ ასეთი ფაქტები ქონდა სახეში ენგელსს, როცა ის ზემოთ ნათქვამს ლაპარაკობდა დიალექტიური მეთოდის დასამტკიცებლათ. ანარხისტებს კი ვერ გაუგიათ ეს და „სოფიზმათ“ მოსჩვენებიათ! რა თქმა უნდა, ანარხისტებს შეუძლიანთ შეამჩნიონ, ან არ შეამჩნიონ ეს ფაქტები, მათ ისიც შეუძლიანთ რიყეზე ისე გაიარონ, რომ ქვა ვერ დაინახონ—ეს მათი უფლებაა, მაგრამ რა შუაშია აქ დიალექტიური მეთოდი, რომელიც ანარხისტებივით თვალდახუჭული არ უყურებს ცხოვრებას, რომელიც ამჩნევს ცხოვრების მაჯის ცემას და ხმა მაღლა გვეუბნება: რადგანაც ცხოვრება იცვლება, რადგანაც ცხოვრება მოძრაობს, ამიტომ ყოველივე ცხოვრებით მოვლენას ორი მხარე აქვს: კარგი და ავი, რომელთაგან პირველი უნდა დავიცვათ და მეორე უარვყოთო? საკვირველია ანარხისტების საქმე: ყოველ დღე „სამართლიანობაზე“ გველაპარაკებიან და დიალექტიურ მეთოდს კი უსამართლოთ ეპყრობიან!..

დავყვეთ ქვემოთ. ჩვენებური ანარხისტების აზრით „დიალექტიური განვითარება კატასტროფისტული განვითარებაა, რომლითაც ჯერ წარსული სრულიათ ნადგურდება და მერე მომავალი სავსებით განკერძოებულათ მყარდება... კიუვიეს კატაკლიზმებს უცნობი მიზეზი წარმოშობდა, მარქს-ენგელსის კატასტროფებს დიალექტიკა“ (იხ. „ნობ.“ № 8 შ. გ.“). ხოლო მეორე ადგილას იგივე ავტორი გვეუბნება, „მარქსიზმი დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს მას“ (იხ. „ნობ.“ № 6).

კარგა ჩაუკვირდი მკითხველო!

კიდევ უარჰყოფს დარვინის ევოლიუციას, მას მხოლოთ კატაკლიზმები სწამს, კატაკლიზმი კი მოულოდნელი აფეთქებაა, „რომელსაც უცნობი მიზეზები წარმოშობს“. ანარხისტები გვეუბნებიან, რომ მარქსისტები კიუვიეს ემხრობიან და მაშასადამე უარყოფენ დარვინიზმსო.

დარვინი უარყოფს კიუვიეს კატაკლიზმებს, ის თანდათანობითს ევოლიუციას ემხრობა. და აი, იგივე ანარხისტები გვეუბნიან, რომ „მარქსიზმი დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებსო“, ე. ი. მარქსისტები კიუვიეს კატაკლიზმებს არ ემხრობიან.

აი ანარხია! სწორეთ ამაზე იტყვიან ხოლმე: გენერლის ცოლმა თავისი თავი თავისივე ხელით გაწკეპლაო! ცხადია, „ნობათის“ მერვე ნომრის შ. გ-ს დავიწყებია ის, რაც მეექვსე ნომრის შ. გ-ს უთქვამს. რომელია მართალი, მერვე თუ მეექვსე ნომერი? ან იქნება ორივენი სტყუან?

გადავხედოთ ფაქტებს. მარქსი ამბობს: „განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე საზოგადოების საწარმოვო ძალები კონფლიქტში ჩაუდგებიან ხოლმე არსებულ საწარმოვო ურთიერთობას, ანუ მათ იურიდიულ გამოხატულებას—საკუთრების ურთიერთობას... და მაშინ დგება ეპოქა საზოგადოებრივი კატასტროფისა“. მაგრამ „არც ერთი საზოგადოებრივი კატასტროფა (ძირეული რევოლიუციონური ცვლილება). არ დადგება იქამდე, სანამ შესაფერისი საწარმოვო ძალები საკმაოთ არ დამწიფდება“ (იხ. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის გამო“. წინასიტყვაობა. კ. მარქსი). დღევანდელ ცხოვრებას რომ მიუყენოთ მარქსის აზრი, გამოვა, რომ დღევანდელ „საწარმოვო ძალებს შორის, რომელთაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, და ჩაწარმოებათა მოთვისებას შორის, რომელსაც კერძო ხასიათი აქვს,—ძირეული კონფლიქტია“... რომელიც... „სოციალისტური რევოლიუციით უნდა დასრულდეს“ (იხ. „ანტი-დიურინგი“ ენგელსისა. მესამე განყოფილების მეორე თავი) როგორცა ხედავთ მარქს-ენგელსის აზრით „რევოლიუციას („კატასტროფას“) იწვევს კიუვიეს „უცნობი მიზეზები“ კი არა, არამედ სრულიათ გარკვეული და ცოცხალი საზოგადოებრივი მიზეზები, რომლებსაც „საწარმოვო ძალთა განვითარება“ ეწოდება; როგორცა ხედავთ, მარქს-ენგელსის აზრით, რევოლიუცია მხოლოთ მაშინა ხდება, „როცა საწარმოვო ძალები საკმაოთ დამწიფდებიან“, და არა მოულოდნელათ, როგორც ეს კიუვიეს ეგონა, ცხადია, კიუვიეს კატაკლიზმებსა და დიალექტიურ მეთოდს შორის არავითარი ერთობა არა ყოფილა. მეორე მხრივ, დარვინიზმი უარჰყოფს არა მარტო კიუვიეს კატაკლიზმებს, არამედ დიალექტიურათ გაგებულ რევოლიუციასაც: მაშინ როდესაც დიალექტიური მეთოდის აზრით, ევოლიუცია და რევოლიუცია, რაოდენობითი და თვისებობითი ცვლილება—ორი აუცილებელი ფორმაა ერთი და იგივე მოძრაობისა. ცხადია, არც ის შეიძლება ითქვას, რომ „მარქსიზმი... კრიტიკის თვალით არ უყურებს დარვინიზმსო“. გამოდის რომ ორივეგან სტყუის „ნობათი“, როგორც მეექვსე ნომერში, ისე მერვეში.

და აი, ეს ცრუპენტელა „კრიტიკოსები“ ჩაგვციებიან: გინდათ თუ არა, ჩვენი ტყუილი თქვენ მართალსა სჯობიაო! ალბათ იციან, რომ ანარხისტს ყველაფერი ეპატიება.

დაქტორის ცედერბაუმის დაჭერის დროს აღმოჩენილი წერილები, რომლებიც ბრალდებულების სახელზეა დაწერილი, შეუკავშირდეს საქმეს. დამცველებმა ამ კითხვის განსახილავად სხდომის შეწყვეტა მოითხოვეს. მცველები დათანხმდენ პროკურორის წინადადებაზე და თავისი მხრით მოითხოვეს, მოწვეულ იქმნან მოწმეებათ იორდანსკი და ცედერბაუმი, ამასთანავე შუამდგომლობა აღძრეს გრაფ ვიტტეს, მანუხინის, რედიგერის, ბირილევის, ტრეპოვის და დიუდინის მოწვევაზე. რადგანაც ყველა ბრალდებულნი საქმის დაწყების სურვილს აცხადებენ, საქმე არ გადაიდება. ბრალდებული ბრონშტეინი-ტროცკი ყველა ამხანაგების სახელით ითხოვს შეტანილ იქნას პროტოკოლში, რომ ბრალდებულები მხოლოდ პოლიტიკური მიზნით იღებენ მონაწილეობას პროცესში, მხოლოდ მუშათა დეპუტატების საბჭოს ნამდვილი მნიშვნელობის გამოქვეყნებით ხელმძღვანელობენ ისინი. პალატა ხანგრძლივი თათბირის შემდეგ საღამოს 8 საათზე აცხადებს: საქმე გადაიდობაო. ბრალდებულებმა ითხოვეს საქმის გარჩევამდის თავდებში გამოშვება. მათი თხოვნა არ შეიწყნარეს.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ დაადგინა გაანთავისუფლოს ციხიდან გირაოში 25 ბრალდებული წევრი მუშათა დეპუტატების საბჭოსი. ხრუსტალიოვ-ნოსარი, ბრონშტეინი-ტროცკი, კნუნიანცი, აქსენტიევი, ნემცოვი, გეინშტეინი, კომარი და სხვა 19 კაცი, რომლებიც განთავისუფლებას ითხოვდენ, ციხეში დასტოვეს საქმის გარჩევამდის. საქმე გადაიდვა შემოდგომამდის.—აგრარული კომისსია პოდკომისსიის პროექტის გარჩევას შეუდგა. პირველი პუნქტი: მშრომელი გლეხობის მიწათმფლობელობის გასაფართოვებლიად უნდა მოხმარდეს სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწები; პუნქტი მეორე კერძო პირებისგან მიწების ჩამორთმევის წესი. შენიშვნა: კაზაკების და სხვა ეროვნებათა მიწები ცალკე კანონებს ექვემდებარება.

ამის შესახებ სჯა-ბაასი კომისიამ შემდეგ სხდომისთვის გადადვა. აგრარულმა კომისიამ აირჩია 5 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიანდო რეფორმის შემუშავება. და აღძრა კითხვა მთავრობის დეკლარაციაზე.

**კრონშტადტი.** 21 ივნისი. დღეს სამხედრო სასამართლოში ირჩევა კონტრ-ნაღმოსანი „ბედოვის“ იაპონელებისთვის დაზმობის საქმე. სამართალში მიცემულია: ადმირალი როჟდესტვენსკი და ბევრი მისი თანაშემწე.

**კოვნო.** გაიქცა 22 ტუსაღი.

**მიტავა.** სამხედრო სასამართლომ 5 გლეხს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა დრაგუნებზე თავდასხმისთვის.

**ბელოსტოკ.** გენერალ-გუბერნატორმა დაითხოვა ქალაქის თავი მალინოვსკი, იმიტომ რომ მალინოვსკიმ მცხოვრებლების თხოვნით შეკრიბა საბჭო იმ მიზნით, რომ გენერალ ბადერის მოხსენების სიცრუე დაემტკიცებია.

**პეტერბურგი.** 20 ივნისი. სათათბიროს სხდომა დაიწყო 2 საათზე, რადგანაც ტამბოვის არჩევნებში მთავრობა ჩაერია, იქ არჩეული დეპუტატები დუმამ არ დაამტკიცა. გადასწყვიტეს შეატყობინონ მთავრობას ტამბოვის გენერალ-გუბერნატორის და თავადი ჩოლაყაშვილის უკანონო მოქმედება. კრების თავისუფლებაზე ლაპარაკობს **რამიშვილი.** ის საშინლათ კიცხავს ბურჟუაზიას და იცავს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ცენტრი და მემარცხენენი მოთმინებიდან გამოდიან. ისმის ყვირილი: „კმარა, გეყოფაო“.

სააგენტოს **შენიშვნა.** აქ რამდენიმე ფრაზა დამახინჯებულია.

დიდხანს ილაპარაკა ვინავერმა. ის ამტკიცებს, რომ კადეტთა კანონ-პროექტი კრებების თავისუფლებას უფრო დაიცავს, ვინემ კოვალევსკისაგან მოწონებული ინგლისის კანონი. ერთათ ერთი სურვილი კანონ-პროექტის ავტორებისა კრების თავისუფლების დაცვაა. **კოკოშკინიც** კოვალევსკის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ის ამბობს, რომ კოვალევსკის მიერ მოყვანილი ინგლისის მაგალითი ცალმხრივია, კოვალევსკის დაავიწყდა საგნის ცუდი მხარე. დუმამ გადასწყვიტა აირჩიოს კომისია 11 კაცისგან და გადასცეს მას ამ კითხვის გარჩევა. გადასწყვიტეს საჩქაროთ შეეკითხონ მთავრობას სიკვდილით დასჯაზე.

**პეტერბურგი.** 22 ივნისი. სახელმწიფო სათათბიროს სხდომა დაიწყო 12 საათზე. თავმჯდომარე მურომცევია. **ლედნიცკი** აცხადებს: გუშინ პოლიციელებმა სახელმწიფო სათათბიროს წევრს **სედელნიკოვს სცემეს** და სთხოვს დუმას დაიცვას დეპუტატების ხელუხლებლობა. **მოკრუნოვი,** როგორც სედელნიკოვის ცემის მოწმე, აცხადებს, რომ პოლიციელები საშინლათ სცემდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს: პოლიციელები ქუჩაში ხალხის გაფანტვის დროს ხიშტიან თოფებს ფანჯრებში ყოფდენ და სხვ. **ალადინი** აღშფოთებული პოლიციელების ძალადობით, მშრომელი ჯგუფის სახელით აცხადებს: თუ დამნაშავენი არ დაისაჯენ არც-ერთ მინისტრს არ ალაპარაკებენ ტრიბუნიდან, თუ ერთჯერ კიდევ განმეორდა ასეთი ძალადობა, მშრომელთა ჯგუფი მინისტრების ხელუხლებლობის შესახებ პასუხს აღარ აგებს. ილაპარაკა მინისტრმა. მარცხენა მხრიდან ისმოდა ყვირილი „ძირს“. **მურომცევმა,** მიმართა მემარცხენეებს: ძველი რეჟიმი იმით იყო შესანიშნავი, რომ მისი წარმომადგენლები ბოროტათ სარგებლობდენ თავის ძალით რუსეთის ხალხის წარმომადგენლები არ უნდა დაემსგავსონ მთავრობას და არ უნდა შეურაცყონ კერძო პირები, რომლებიც დუმაში მოხსენებისათვის მოდიან. ორატორის სიტყვებს ცენტრი და მემარჯვენენი ალტაცებული ტაშის კვრით მიეგებენ. დუმაში საშინელი ღელვება გამოიწვია **სედელნიკოვის** სიტყვამ. ორატორი გაცხარებულათ ლაპარაკობდა პიროვნების ხელუხლებლობაზე. თავმჯდომარეს და წევრებს შორის უთანხმოებაა. **ნაბოკოვი** სთხოვს ალადინს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას **ნაბოკოვს** პოლიციელები მოკლავენ, მაინც აცალოს მინისტრებს ლაპარაკი. ბელოსტოკში ებრაელთა აკლების შესახებ ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ ილაპარაკა არკანცევმა, რომელიც თითონ იყო ბელოსტოკში საქმის გამოსაძიებლათ; არკანცევმა თავის ვართო მოხსენებაში ის აზრი გაატარა, რომ ებრაელების აკლებაში რუსეთის ხალხს არავითარი ბრალი არ უძევს—ებრაელების აკლება მთავრობის მოქმედების შედეგია. მთავრობა ყოველგან ცდილობდა ერთი ეროვნება მეორეზე მიესია. ამ პოლიტიკას ადგენ: ბობრიკოვი—ფინლიანდიაში, თავ. გოლიცინი კავკასიაში, პოლიციელები მთელ რუსეთში და აი ამ მოღვაწეობის შედეგი. როგორც მთავრობის ოფიციალური მოხსენებიდან სჩანს, მთავრობას სურდა რევოლიუციონერებთან კანონიერი ბრძოლა გაეწია. მაგრამ სად ხედავდა მთავრობა რევოლიუციონერებს ბელოსტოკში მხოლოდ სამი სალდათი იყო დაჭრილი მთავრობის ოფიციალური ცნობით ბელოსტოკი რევოლიუციონერების ცენტრია. თუ ეს მართალია მთავრობა რატომ წინეთ არ სდევნიდა რევოლიუციონერებს ბელოსტოკში; რატომ სუდჟის ქუჩაზე სადაც მთავრობის აზრით რევოლიუციონერთა ბუდეა, მთავრობას ცხვირიც კი არ გამოუყვია. ერთი სიტყვით ოფიციალური მოხსენება წინააღმდეგობით არის სავსე მეფის სახელით ჯარი საშინელ დანაშაულობას ჩადიოდა და წარმოდგენაც ძნელია იმის თუ რა მოხდება მაშინ, როცა ჯარი გაიღვიძებს და მიხვდება, რომ მას ატყუილებდენ ორატორი წინადადებას აძლევს დუმას პატივი სცეს ბელოსტოკში დაღუპულებს ფეხზე წამოდგომით; ყველა დეპუტატები ფეხზე წამოდგენ. მინისტრების შეკითხვაზე დიდი ბაასია. ლაპარაკობენ **როდიჩევი, ლედნიცკი, ჯაფარიძე, სტახოვიჩი, გეიდენი, იაკობსონი ვინავერი. პეტრუნკევიჩი.** სხდომა დაიხურა 7 საათზე და 15 წუთზე.

**ატკარსკი.** 22 ივნისი.—ბაკლეიშევის, სლეპცოვის, ობოლენსკის და სხვა მემამულეების მამულს გლეხებმა ტყეხლი წაუკიდეს.

**პეტერბურგი.** 22 ივნისი. 5 სექტემბერს სალიტერატურო-სამხატვრო საზოგადოების შენობაში გაიხსნება საქალებო თავისუფალი უნივერსიტეტი, რომელსაც დაერქმევა „უმაღლესი საისტორიკოსო-სალიტერატურო იურიდიული კურსები“.

**ტვერი.** 22 ივნისი. ყოფილი პოლიცმეისტერი კირფევსკი სამართალში მისცეს 18 ოქტომბერს მომხდარ ებრაელების აკლებაში მონაწილეობისთვის.

**კრემენჩუგი.** 22 ივნისი. აქაურ თეატრში დაიჭირეს რკინის გზის აგენტი, რომელიც ებრაელების აკლებისკენ იწვევდა ხალხს.

**პეტერბურგი.** 22 ივნისს. სამარის გუბერნატორმა შინაგან საქმეთა მინისტრს ტელეფონით მოახსენა: სოფელი მატვეევსკის გლეხებმა ისპრავნიკს და ბოქაულს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, ერთი სახლის გაჩხრეკის და აგიტატორის დაჭერის დროს. ეტლი, რომელშიდაც პოლიციელები იჯდენ, გარიკადას დაეჯახა და პირქვე დაემხო. ბოქაული მოკვდა, ისპრავნიკს ფეხი დაუშავდა. კაზაკთა ესაული და კაზაკი დაიჭრენ. დილას გლეხები შეიარაღდენ და ისევ დახვდენ ჯარს. მათ ესროლეს. მოკვდა 2 გლეხი აგიტატორის გარდა დაიჭირეს 24 კაცი. —„რუსის“ რედაქტორი სუვორინი ციხიდან გაანთავისუფლეს.

**უმანი.** 22 ივნისი. პოდგორსკის მამულში გლეხებმა მოითხოვეს, რომ მათ თითო მანეთი მიეცეს. როცა გლეხებს უარი უთხრეს, იმათ მუშებს მუშაობაზე ხელი აალებინეს ბოქაულს და საეროზო დარაჯებს თავს დაეცენ გლეხები; ბოქაული ნაჯახით დასჭრეს. ისპრავნიკმა კაზაკები მოიყვანა და მოითხოვა არეულობის მოთავეების გაცემა ორ საათში. როცა ამაზე უარი მიიღეს კაზაკები, შეუდგენ ჩვეულებრივათ თავის საქმეს. მთელი სოფელი ფეხზე დადგა; დაჰკრეს ზარები. კაზაკები, მღვდლის ნებართვით, შევარდენ ეკლესიაში ზარის რეკის შესაწყვეტათ, მაგრამ იქიდან რევოლვერის სროლა მოისმა. ხალხი კაზაკებს მიესია. მაშინ კაზაკებმა ისროლეს. მოკლეს ერთი ქალი და დასჭრეს გლეხი, რომელიც იმ დღესვე მოკვდა. ხალხი გაიფანტა.

**პეტერბურგი.** სწავლა-განათლების სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც საბოლაოთ უნდა განსაჯონ ახალი წესდებები უნივერსიტეტებისა, პეტერბ. ქალთა სამედიცინო ინსტ. პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს საქალებო კურსებისა, უმაღლეს სატეხნიკო სკოლებისა, ნოვოროსიის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტისა და საბეითლო ინსტიტუტისა.

დაადგინეს რომ ზაფხულობით 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე ვაჭრობ, წარმოებდეს დილის ცხრა საათიდან საღამოს 7-მდე

რადგანაც უმუშაოთ დარჩენილთა რიცხვი თანდათან მატულობს გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ვაგონები გასაკეთებლათ მხოლოდ რუსეთის ქარხნებს გადასცეს.

**პენზა.** მესამე დღე შესრულდა, რაც საზოგადო სახლებსა და ღვინის სავაჭრო დუქანს იკლებენ მიზეზი ის იყო რომ საზოგადო სახლში ორი სალდათი მოჰკლეს. დღეს წესიერება აღდგენილია.

---

კიდევ ერთ რამეში ემდურებიან ბ. ანარხისტები დიალექტ. მეთოდს: „დიალექტიკა... არ გვაძლევს საშვალებას გამოვიდეთ ან გამოვხტეთ თავის თავისაგან, არც გადავახტეთ თავის თავსო (იხ. „ნობ.“ № 18 შ. გ.). ეს კი სრული ჭეშმარიტებაა ბ. ანარხისტებო, აქ კი ცამდის მართალი ხართ, პატივცემულნო,—დიალექტიური მეთოდი არ იძლევა ასეთ საშვალებას. მაგრამ რატომ არ იძლევა? იმიტომ, რომ „თვის თავიდან გამოხტომა და თავის თავზე გადახტომა“ თხების საქმეა, და დიალექტიური მეთოდი კი ადამიანებისათვისაა გამოგონილი. აი სად არის სეკრეტი!..

ასეთია საერთოთ ჩვენი ანარხისტების შეხედულება დიალექტ. მეთოდზე.

ცხადია, ანარხისტებს ვერ გაუგიათ მარქს-ენგელსის დიალექტიური მეთოდი, მათ თავიანთი დიალექტიკა გამოუგონიათ და სწორეთ მას ებრძვიან ასე შეუბრალებლათ.

ჩვენ ის და დაგვრჩენია, რომ სეირს უყუროთ და „სიცილს მივცეთ თავი“, რადგანაც არ შეიძლება არ გაგეცინოს, როცა კაცი თავის ფანტაზიას ებრძვის თავის ოცნებას ანგრევს და თანაც გამწარებული გარწმუნებს—მტერსა ვკლამო.

მაგრამ დიალექტიური მატერიალიზმი არ არის მარტო დიალექტიური, ის იმავე დროს მატერიალისტურიცაა. რაში მდგომარეობს დიალექტ. მატერიალიზმის მატერიალისტური თეორია?

კობა.

---

რედ.-გამომცემელი **ნ. ახმეტელაშვილი**

---


# განცხადება

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# შრომა

**სურათებიანის დამატებით**

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით ერთის წლით 7 მ., ერთის თვით 50 კ. სურათ. დამატებით—80 კ.

საზღვარ-გარეთ გაგზავნით ერთის წლ. 11 მ., ერთის თვით 1 მან.

**პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ელირება 4 მ. 50 კ.**

კანტორის ადრესი: ვანქის დიდი კუჩა, სახლი მარტიროზოვისა. (3—2)


მსწრაფ-მბეჭდავი „ლამპარი“ სემენოვის ქუჩა № 4.